

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

___ თებერვალი, 2021 წელი

ქალაქი ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, გორგასალის ქუჩა N124-ში მდებარე უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და 108-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, გორგასალის ქ. N124-ში მდებარე 929,0 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული 982,30 კვ.მ. შენობა-ნაგებობა (ს.კ. 05.23.19.003).

2. ეთხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ გადაცემული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში რეგისტრაცია.

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, რა დროსაც მხარეს წარმოადგენს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი
პროექტის სახელწოდება და სათაური

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, ქ. ბათუმში, გორგასალის ქუჩა N124-ში მდებარე უძრავი ქონების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის უსასყიდლოდ, საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ

ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში წარმოდგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის 2021 წლის 17 თებერვლის #449/02 (#07-1421048195-14) წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს“ 2021 წლის 5 თებერვლის N1/1-275 ბრძანების თანახმად, ქ. ბათუმში, გორგასალის ქ. N124-ში მდებარე 929 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული 982,30 კვ.მ შენობა-ნაგებობა (ს.კ. 05.23.19.003) საკუთრებაში გადაეცა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტს.

აღნიშნულ უძრავ ქონებაში (ს.კ. 05.23.19.003) განთავსებულია და ფუნქციონირებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება-გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო (776 კვ.მ ფართი) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო (პირველი სართულის ნაწილი-206,3 კვ.მ ფართი), რომელთაც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რეგისტრირებული აქვთ მათ სარგებლობაში გადაცემული ფართები. ზემოხსენებული უძრავი ქონების შემდგომი მოვლა-პატრონობისა და კაპიტალური ხარჯების გაწევის მიზნით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია და ითხოვს განხორციელდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ. ბათუმში, გორგასალის ქ. N 124-ში მდებარე 929 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განლაგებული 982,30 კვ.მ. შენობა ნაგებობის (ს.კ. 05.23.19.003) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემა.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

ქ. ბათუმში, გორგასალის ქ. N 124-ში მდებარე 929 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზე განლაგებული 982,30 კვ.მ. შენობა ნაგებობის მოვლა-პატრონობის მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში გადაცემა.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“;

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

ე) პროექტის ავტორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა, სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

დავით კობინაძე